წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. ხუთშაბათი, 3 ნოემბერი

# სამშობლო

ფასი 3 კ.

გაზეთ. ს ფასი: [illegible]

განცხადებ[illegible] ... ფასი: სტრიქონი პეტიტით: წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. ... 2 ს ა ა თ ს. შესვენება 5 მან.

[illegible] მიხეილა ის სახლებში.

№ 475 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 475

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირას 30 ოქტომბერს საღამოს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**მარიამ სიმონის ასული ვასილიევისა,**

რასაც გულდათუთქული ქმარი ივანე ნიკოლოზის ძე, ვაჟიშვილი ალექსანდრე ივანეს ძე, ქალიშვილი ნადეჟდა ივანეს ასული ბუზოლლი, რძალი ნინა ქაიხოსროს ასული ვასილიევისა და სიძე ინჟენერი მიხეილ ვართანის ძე ბუზოლლი, აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ. პანაშვიდი ყოველდღე საკუთარ სახლში არქიელის გორაზე შუადღის თორმეტ საათზე და საღამოს ექვს საათზე. გასვენება მიცვალებულისა 3 ნოემბერს ნაშუადღევის 3 საათზე. ცალკე მოწვევა არ იქნება

## ელექტრო „რადიუმ" თეატრი

31 ოქტომბრიდან იქნება ახალი პროგრამა

## მარგარიტა გოტიე

(ტრავიატა).

დრამა 6 ნაწილად ცნობილ ალექსანდრე დიუმას რომანის მიხედვით. მარგარიტას თამაშობს ეკრანის დედოფალი გამოჩენილი ლამაზი ქალი და მსახიობი ფრანჩესკა ბერტინი, არმან დიუვალს—შუსტავ სერენა.

1, მარგარიტა გოტიე, 2, ძლიერი გრძნობა, 3, ქვეყანას მოშორებული, 4, მამის ვედრება, 5, გაუგებარი მსხვერპლი, 6, ცოდვის მონანიება.

სეანსების დასაწყისი 6, 8 და 10 საათზე.

**ა ნ ო ნ ს ი:** ხუთშაბათიდან, 3 ნოემბრიდან ნაჩვენები იქნება ახალი პროგრამა:

### ა ლ ი ო ნ ი

შესანიშნავი დრამა 5 ნაწილად. მოქმედება მდ. იზონცოს ნაპირებზე სწარმოებს. ბრძოლის სურათები.

## ელექტრო „ამპირ" თეატრი

31 ოქტომბრიდან იქნება ახალი პროგრამა

**ქ რ ო ნ ი კ ა გ ო მ ო ნ ი ს ა.**

მიმდინარე ამბებიდან

## მწვანე ობობა.

კინო დრამა 5 ნაწილად მ. როტცის, ფრანჩესკა ბერტონის ნ. წერეთლისა და ხახლოვის მონაწილეობით.

**სიყვარულის ცვიებ-ცხელება** სახუმარო სურათი

**ა ნ ო ნ ს ი:** ხუთშაბათიდან, 3 ნოემბრიდან ნაჩვენები იქნება:

### მ ი მ ი ნ ო ს ბ უ დ ე

დრამა ცხოვრებიდან 5 ნაწილად. ლისენკოს, კარაბანოვისა, რიმსკისა და ასინოვის მონაწილეობით.

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში უსხმს „606" და „914") დილით $12^{1}/_{2}$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.

მისამართი: ლვოვსკის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

## დაკარგე

სექტემბრის ბოლო რიცხვებში სოხუმსა და ოზურგეთს შუა

### უვადო პასპორტი

მიცემული ოზურგეთის მაზრის სამმართველოსაგან, Θома Глахуновъ онъ же Григорьевъ Челидзе онъ же Мчелидзе. მნახველს ვსთხოვ გამიგზავნოს, ან გამომიგზავნოს, რისთვისაც შესაფერ სასყიდელს მივართმევ. ჩემი მისამართი:

Очемчири, Феттеръ Θомѣ Мчелидзе. 3—1

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**

### მარიამ ტ. ბაღანძევაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და უფერგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ვცხებ ფუვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე განის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37

304—1—თვით

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **ბოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი სნეულებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილით 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 6-8 თ.

**ბებია** მ. მ. კიკნაძე ურის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

## ავათმყოფთა საყურადღებოთ.

ვისაც თვალები სტკივა, ან თეთრი აქვს გადაკრული, მიმართოს ქ. ქუთაისში, თეთრ ხიდ გაღმა გოსპიტლის კარებთან ჭყვიშვილის სახლში, მიხეილ კაპაჯას, რომელიც მე მომარჩინა უკავშირებით.

3—1 პატივისცემით **გრიშა აბულაძე.**

### ქუთაისის ქალაქის თეატრი წარმ. № 15.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ი, 3 ნ ო ე მ ბ ე რ ი 1916 წ.

ჟიაკომეტი

## ი ვ დ ი თ ი

ტრ. ხ მ. თარგმ. ი. მაჭავარიანისა.

მონაწილენი: ქ-ნი ბოჟანიშვილი ს., მდივანი მ., ჩხეიძე ან., ჩხეიძე ნ., ლოლობერიძე ო. ბ-ნი გელოვანი მ., გომელაური ზ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ. ყაუხიბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ.

რეჟისორი ალ. იმედაშვილი. თანაშ. ალ. გუგუშვილი ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მორიგე წევრი გამგეობისა ა. წერეთელი.

ადმინისტრატორ დრამატ. საზოგად. გამგეობისა დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

## განცხადება.

ქ. ქუთაისში ახლად დაარსებული

**საურთიერთო ნდობის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საზოგადოების**

## საორგანიზაციო კომიტეტი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ხსენებული საზოგადოება დაიწყებს თავის მოქმედებას მომავალი 1917 წლის 1 იანვრიდან;

**წევრების მიღება დაიწყება მდგომარე წლის 7 ნოემბრიდან.**

ვისაც სურს საზოგადოების წევრად ჩაწერა განცხადებით უნდა მიმართოს კომიტეტის წევრს-ხაზინადარს **ა. მ. კრინიცკის ქ. ქუთაისში,** გიმნაზიის ქუჩაზე, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში, და თან შეიტანოს **იმ კრედიტის ათი პროც. რომლის გახსნასაც თხოულობს.**

### რუს-ფრანგთა რეზინისა, გუტაპერჩისა და სატელეგრაფო ნაწარმოების ამხანაგობის

## „პროვოდნიკი"-ს

**გამგეობა მოსკოვში**

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ

**კონსტანტინე პორფირეს ძე გუსევი**

ჩვენი ამხანაგობის ქუთაისის საწყობის გამგეთ აღარაა და მისდამი რწმუნებას გასული თვის ოქტომბრის 31 დან აღარ აქვს ძალა. ქუთაისის საწყობის გამგეთ ახლა ჩვენ მიერ დანიშნულია

**ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ნ ი კ ი ტ ა ს ძ ე ბ ო რ შ კ ო ვ ი**

გამგეობა სთხოვს ბ.ბ. მუშტრებს, რომ პატივსცენ და იგი აღჭურვონ ნდობით

3—1

ქუთაისის **პირველი** უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებლის ინსპექტორი ამით აცხადებს, რომ სასწავლებელთან არსებულ

## პედაგოგიურს კურსებზე,

ამ მიმდინარე სამოსწავლო წელს, მიღებული იქნებიან აგრეთვე **ქალებიც,** რომლებსაც გაუთავებიათ არა ნაკლებ ოთხი კლასისა. ვინც ამ კურსებს დაასრულებს მიეცემათ **მოწმობა** სახალხო სკოლების მასწავლებლობისა. კურსები ორ წლიანია. მეორე კურსზე მსმენელებს მიეცემათ სტიპენდია. მსმენელებმა თხოვნები და საჭირო საბუთები თვითონ უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე, სასწავლებლის კანცელარიაში დილის 9 საათიდან—ნაშუადღევის 2 საათზე.

## დაიბეჭდა

ბ. დ. უზნაძის მიერ შედგენილი წიგნი: **„მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო"** პირველი ნაწილი **ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა.** გამოცემა თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიისა. ფასი წიგნისა 6 აბაზი.

იბეჭდება და მალე გამოვა ბ. ს. გორგაძის მიერ შედგენილი ქრისტომატია „ჩვენი ახალი მწერლობა" და ბ. ვ. ციციანის მიერ შედგენილი ალგებრა ქართულ ენაზე.

## მსოფლიო ომი.

**დ ე პ ე შ ე ბ ი**

(პეტ. დეპ. სააგ.)

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბიდან.**

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 1 ნოემბერი. მდ. ნარაიუვკაზე სოფ. ლიპიცა დოლნაიასა და სვისტელნიკის მიდამოებში ზარბაზნების, ნაღმის მტყორცნელების სროლა და მზვერავთა მოქმედებაა. ტყიან კარპატებში ორნიკის მიდამოებში დაჩნევას მთის სამხრეთით მტრის შემოტევა სროლით მოვიგერიეთ.

**კავკასიის ასპარეზი.**

საყურადღებო არაფერი მომხდარა.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**ლონდონი.** 31 ოქტომბერი. ბრიტანიის ცნობა საფრანგეთიდან. დილით მდ. ანკრის ორივე მხარეზე გერმანელთა პოზიციებს შეუტიეთ, ცნობა მოგვივიდა, რომ მთელი ღამის განმავლობაში გერმანელები ჩვენი პოზიციების წინააღმდეგ მძლავრად მოქმედებდნენ. ლებე ვედეკურის მიდამოებში მოწინააღმდეგის სანგრებზე მოზხმული გაზის შემწეობით მარჯვე იერიში მივიტანეთ. არმანტიურის სამხრეთ აღმოსავლეთით ჩვენ მტრის სანგრებში შევიჭრით.

**ლონდონი.** 31 ოქტომბერი. მდ. ანკრის ორივე მხარეზე მარჯვე იერიშები ვაწარმოვეთ; თითქმის 5 მილის სიგძის ბრძოლის პირზე გერმანელების თავდასაცავ სიმაგრეებში შევიჭრით და მკვიდრად გამაგრებული სოფ. სენპიეს ვაასი ავიღეთ. იერიში ბურუსიან დროს მივიტანეთ; მტერი დიდად დაზარალდა. აქამდე ჩვენს განმანაწილებელ პუნქტში გაიარა 3300-მა ტყვემ. ბრძოლა კიდევ გრძელდება.

**პარიზი.** 31 ოქტომბერი. შუადღის ოფიციალი. მთელ ასპარეზზე ღამის განმავლობაში გარდა სროლისა არაფერი მომხდარა. მფრინავთა მოქმედება 9 სამხედრო საფრენმა და ინგლისელთა 7 საზღვაო საფრენმა სეკტინბერგის მაღნის გადასადნობ ქურებსა და ფოლადის ქარხნებს ყუმბარები დაუშინა; ყველა საფრენი თავის ბინას დაუბრუნდა. გერმანელთა 2 საფრენმა ბელფორში ღამე ყუმბარები ჩამოყარა, დაჭრილა 5 მოქალაქე.

**იტალიის ასპარეზი.**

**რომი.** 1 ნოემბერი. იტალიის მთავარი ბინისაგან. ტრენტინოში გარანიას მიდამოებში ზარბაზნების საკმაოდ ცხოველი სროლა იყო; ტერანივლოს ველზე მოწინააღმდეგის მოძრაობა გრძელდება, რასაც ჩვენ ზარბაზნების სროლით ხელს ვუშლით იულიის ალპებზე არაფერი მომხდარა საყურადღებო. 29 ოქტომბრის ღამეს მტრის საჰაერო რაზმებმა ქ. პაიდუპში ყუმბარები ჩამოყარეს. დაინგრა სწორედ ის შენობა, რომელსაც ბავშვები და ქალები შეეფარნენ, ჯერჯერობით ამოვყარეთ 60 მოკლული.

**რუმინიის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 1 ნოემბერი. ტრანსილვანია. მდ. ტრატუშისა, ოიტუზასა და ტირგულაის ველებზე მოწინააღმდეგის იერიშები მოგერიებულ იქნენ. მდ. ოლტის (ალიუტის) ველზე დაჟინებულ იერიშების წყალობით რუმინეთის ჯარს რამდენადმე უკან დაახევინა. მდ. ჟიუს ველზე მოწინააღმდეგემ სოფ. ბუმბეშტი დაიპყრო. დობრუჯაში მდგომარეობა უცვლელია.

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** მდ. ნარაიუვკაზე ზარბაზნების სროლაა. ტყიან კარპატებში პნევასთან და ვორნიკის სამხრეთით ავსტიელთა იერიშები რუსებმა მოიგერიეს.

**კავკასიის ასპარეზი.** მდგომარეობა უცვლელია.

**დასავლეთის ასპარეზი.** საარბრიუკენთან მოკავშირეთა 16 საფრენმა გერმანელთა სამხედრო ქარხნებს ყუმბარები დაუშინა. ინგლისელებმა სოფ. სენ-პიერ ვაასი აიღეს და გერმანელები დიდად დაზარალეს.

**იტალიის ასპარეზი.** ტრენტინოში საარტილერიო ბრძოლა მოხდა. ასპარეზზე სიწყნარეა.

**რუმინიის ასპარეზი.** მდ. ტრატუშის, ოიტუზის, ტირგულუის ველებზე ავსტრიელთა იერიშები მოიგერიეს. ოლიტიას ველზე ავსტრიელებმა რუმინელებს უკან დაახევინეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

—

კოპენჰაგენიდან იწერებიან: პოლონელთა საკითხმა მთელი პარიჟი აალელვაო. ერვეს სიტყვით ოთხთა კავშირმა გერმანიის წინააღმდეგ კოლექტიური მანიფესტი უნდა გამოცეს და პოლონელთ რუსეთის, ავსტრიის და პრუსიის პოლონეთის ნაწილების შეერთებას დაპირდენო.

—

იქიდანვე გვატყობინებენ, რომ ბერლინში კანცლერის პოლონელთა დეპუტაციასთან და ვარშავის უნივერსიტეტის რექტორთან მოლაპარაკება მხოლოდ ახლა გამოაქვეყნესო, კანცლერმა სხვათა შორის თავის აზრი გამოთქვა, რომ ომის დროს პოლონეთის სამჭლვრების ჩვენება და პოლონელთა კონსტიტუციის შემუშავება შეუძლებელიაო.

—

პოლონელთა ტახტის კანდიტატათ ჰერცგერცოგ ფრანც სტეფანეს ასახელებენ.

—

როგორც ბაზელიდან იტყობინებიან, ავსტრიელები გალიციაში, განსაკუთრებით ბრეზჟანისაკენ აუარებელ ჯარს, ზარბაზნებსა და სამხედრო მასალას გზავნიან.

—

სტოკჰოლმიდან მოსული ცნობების მიხედვით გერმანიის ქ. პოსედამში ლიბკნეხტის მაგივრად ასარჩევ რეიხსტაგის დეპუტატად ლიბკნეხტის მაგივრად ცნობილი გრაფი ცეპელინის კანდიტატურა წამოაყენეს.

—

ერთ შვედურ გაზეთის ცნობით გერმანიაში კართოფილის წლევანდელი მოსავალი საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს ამ უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში.

—

ჟენევის ჟურნალი სწერს; პოლონელთა მანიფესტი საერთა შორისო უფლებას აბსოლუტურათ ეწინაღმდეგებაო. საერთაშორისო ხელშეკრულობით პოლონელნი რუსის ქვეშევრდომნი არიანო. ძალის დატანებით რომ ქვეშევრდომობა გამოცვალონ, ეს მდგომარეობას არ შეცვლისო.

—

ჰოლანდიის გაზეთები პოლონელთა მანიფესტზე იმ აზრის არიან; რომ „ნაციის თავისუფლებაზე“, რახუნი, ცარიელი სიტყვებია; გერმანიას ახალი სახელმწიფოს შექმნა ბუფერად სურდა. ამ საშვალებით იგი ერთი მხრით ჯარის რიცხვს გაამრავლებდა მეორეთ საომარ აღმოსავლეთის საზღვრებს შეამოკლებდა.

—

რომში მცხოვრებ პოლონელთ, რომის პაპთან ოფიციალური პროტესტი შეუტანიათ. პროტესტში იგინი გერმანიის მიერ ძალდატანებას და რუსეთის პოლონეთიდან ჯარისკაცების გაყვანას სასტიკათ გმობენ. ვატიკანს გადაუწყვეტია ომის გათავებამდი არავითარი პოლონელთა სახელმწიფოებრიობა არ სცნონ და ეს საკითხი გადაუწყვეტლათ ჩასთვალონ.

—

საბერძნეთის მთავრობისაგან როგორც „კავ. სლ.“ გადმოგვცემს, ოთხთა შეთანხმებას მოუთხოვია, რომ ვენიზელოსის განკარგულებაში მთელი არტილერია და 60,000 თოფი გადაცეს და საბერძნეთიდან მოწინააღმდეგე სახელმწიფოების წარმომადგენელნი დაითხოვოს.

—

ავსტრიის სოც.-დემოკრატების გაზეთი „ალბეიტერ ცაიტუნგ-ი სწერს: რესკრიპტში მხოლოდ მეფის სურვილია გამოთქმული გალიციის ავტონომიის შესახებ, ხოლო ეს საქმე, საკანონმდებლო გზით უნდა ღასრულდესო. ალბად თვითონ მთავრობასაც კარგად არა აქვს გათვალისწინებული, თუ რაში უნდა გამოიხატოს გალიციის ავტონომიის გაფართოვებამ.

—

გერმანეთის რაიხსტაგის სოც.-დემ დეპუტატ შეიდემანის აზრით გერმანელებისა და პოლონელების მეგობრობა დაუჯერებელია. გერმანეთი მხოლოდ მაშინ მიაღწევდა ასეთს მეგობრულ განწყობილებას, როდესაც პოლიტიკას არსებითად შესცვლიდა: „უგულო კავშირი დამღუპველია“. ზავის შესაკვრელად ორივე მხარის თანხმობაა საჭირო. მხოლოდ ერთი მხარის სურვილით არავითარი ზავი არ შეიკვრის. შეიდემანის აზრით შეუძლებელია ხელოვნურათ შექმნა სახელმწიფოსი. ასე ხელოვნურად შექმნილი რამ მუდამ დღემოკლეა.

## პოლონეთი.

პოლონეთს ასაჩუქრებენ: შარშან რუსეთმა უბოძა ავტონომია, დღეს ავსტრო-გერმანიამ დააჯილდოვა დამოუკიდებელი კონსტიტუციონალური მონარქიით. ყოველგვარ საჩუქარს აქვს ნაკლი და პოლონეთის თავისუფლებასაც, როგორც პოლიტიკურ საჩუქარს სწორედ ეს ნაკლი ახასიათებს: რუსეთი მხოლოდ შეპირდა თვით მართველობის განხორციელებას, ავსტრო გერმანიამ კი მარტო რუსეთის პოლონელებს შეხედა მოწყალეს თვალით, ხოლო თავიანთ ბრჭყალებში მომწყვდეულ პოლონელებზე სდუმს.

თავიანთი პოლიტიკას აწარმოებენ არა პატარა ერების სურვილის თანახმად, არამედ თავიანთ იმპერიალისტურ ინტერესთა მიხედვით. სხვანაირად არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რადგან თვით „ძლიერთა“ პრინციპი სწორედ ამ პირადი ანგარიშებით საზრდოობს. ურომლისოდაც მთელს მის მოქმედებას აზრი დაეკარგებოდა. მაგრამ ის ფაქტი, რომ მრავალი ტანჯულ პოლონეთის ერს ოფიციალურად პირდებიან შინაურ საქმეებში მაინც, დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენას, — მრავალ რამეს გვეუბნება. თავდაპირველად საინტერესოა ამ მხრივ თვით პოლონელთა უკანასკნელი დროის ცხოვრება მათი ეროვნულ მონობაშიც შემოქმედ ძალთა გათვალისწინება, რამაც ძლიერი სახელმწიფოებიც ჩააფიქრა და დათმობის გზაზე დააყენა.

მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში პოლონეთის შესუსტებას ხელი შეუწყო, როგორც გარეშე ისე შინაურ მიზეზებმა. გეოგრაფიული მდებარეობის მხრით იგი წარმოადგენდა ყოველ მხრივ ღია სახელმწიფოს, სადაც მადა აშლილი იმპერიები თავისუფალ ასპარეზს პოებდენ სათარეშოთ. მისი აღმოსავლეთით თუ დასავლეთით მოსამზღვრე სახელმწიფოების აგრესიული მიდრეკილება კი, იმდენად ძლიერი იყო, რომ შინაურ საქმეებში აწეწილ-დაწეწილი პოლონეთის ერი სამჯერ შეიქნა, პოლიტიკურ დოსტაქართა მიერ ურთ-ერთ შორის განაწილებული.

პოლონეთის შინაურ მართვა-გამგეობაში განმტკიცებული „Liberum veto“-მ, დიდი როლი ითამაშა ამ განაწილების დროს. ამ კანონის მიხედვით უმაღლეს პოლონურ სახელმწიფო საბჭოში თითოეულ წევრს ჰქონდა უფლება ამა თუ იმ გადაწყვეტილებაზე თავისი აზრი გამოეთქვა. საკმარისი იყო ერთი წევრისაგან უკმაყოფილების განცხადება, რომელიმე საკითხზე წინააღმდეგ უმრავლესობისა და საკითხიც უსათუოდ მოისპობოდა, რადგან „Liberum veto“ გულისხმობდა ყოველგვარი კითხვის ერთხმად გადაჭრას. თავისდა თავად ეს პიროვნების ნების ყოფის გამაფაქიზებელი პოლიტიკური პრინციპი პოლონელთათვის დამღუპველი შეიქნა. სახელმწიფო მართვა გამგეობის სადავე ხელთ იგდო პარაზიტმა თავად აზნაურობამ, რომელმაც ბოროტად მოიხმარა დიადი ეროვნული იდეა. გარდა ამისა საყურადღებოა უცხო ტომთა მიერ საკარალევო თანამდებობის მისაკუთრება, როგორიც იყვნენ მაგალითად საქსონიისა და კონდეს ოჯახიდან გამეფებული პირები. ცხადია ერის თავისებურობას რამდენად შეაფასებდენ უცხო თესლის ბატონები! ავგუსტ მეორემ, ხომ თავის ნებით გადასწყვიტა პოლონელი ერის ბედი, რომელსაც სურდა რუსეთისთვის ლიტვა გადაეცა, პრუსიელთათვის მდ. ვისლის მიდამოები, ხოლო ავსტრიისთვის ჩეპასის ოლქი და ტატრას მთიანი ალაგები ტისოსა და ვისლა შუა მდებარენი.

ასეთი პირები განაგებდენ პოლონელი ერის ბედ-იღბალს სწორედ იმ ხანებში, როდესაც ის ნაწილ-ნაწილად რიგდებოდა ცენტრალ სახელმწიფოთა შორის. უკანასკნელი გაყოფა მოხთა 1795 წ. პრუსია, ავსტრია და რუსეთი ღებულობდენ მონაწილეობას ამ პოლიტიკურ აქტში და ამ დღიდან დღემდე პოლონეთი დარჩა სამად გაპობილი. დაყოფის დროს პოლონელები თუთხმეტ მილიონს არ აღემატებოდა. ეხლა კი რუსეთში დაახლოვებით 12 მილიონამდე აღწევს მათი რიცხვი, გერმანიაში 5 მილიონამდე, უმრავლესობა პოზნანში, უმცირესობა სილეზიასა და ვესტფალიაში; 4 მილიონი ავსტრიაში, სამ მილიონ ნახევარი ამერიკაში, უმრავლესობა ჩრდ. შეერთებულ შტატებში, უმცირესობა ბრაზილიაში. სულ ყველგან კი ოცდათხ ნახევარ მილიონამდეა მცხოვრებლები. საყურადღებოა მათი მოსახლეობა რუსეთში.

რუსეთის პოლონეთის სხ. ქალაქში ებრაელი შეადგენენ 17 პროცენტს, ხოლო ხუთში 80 პროცენტზე მეტს.

ძლიერ იმპერიებს ურთ ერთში განაწილებული ლუკმა ძნელი მოსანელებელი შექნათ. რადგანაც პოლონელთა უმრავლესობა რუსეთში [illegible], მათმა ეროვნულმა საკითხმა [illegible] ლი თავის შემძლეობა. 1831—2 და 1863 წელს მოახთინეს სასტიკი აჯანყება რომელიც მათი კატასტროფით დამთავრდა. ამის შემდეგ ალექსანდრე პირველისგან შეწყნარებული კონსტიტუციაც დაკარგეს. რუსეთში გამოაშკარავებულ პოლონურ სეპარატიულ მოძრაობამ პრუსიის მთავრობაც ჩააფიქრა. მიღებული იქნა საშინელი ზომები პრუსიის პოლონელთა წინააღმდეგ. ობერ-პრეზიდენტის თანამდებობაზე დაინიშნა „ჭეშმარიტი ნემეცი“ ეკლესიებსა და მონასტრებს მამულები ჩამოერთვა და ხაზინას გადეცა პანგერმანისტულ პოლიტიკას ძლიერ ახასიათებს ის ფაქტიც, რომ 2200 პოლონიური ქალაქ სოფლებს გერმანული სახელი მისცენ. 1886 წ. დაარსდა საკოლონიზაციო კომისია, რომელსაც ასი მილიონი მანეთის ძირითადი თანხით პოლონელთა ეთნოგრაფიული მთლიანობა ძირიან ფესვიანად უნდა მოესპო. ამ მხრივ თავი ისახელეს ეგრედ წოდებულ „ჰაკატისტებმა“. 1909 წელს გატარდა საექსპროპიაციო კანონი, რომელმაც პოლონელის კერძო საკუთრება ფიქციად გამოაცხადა.

სულ სხვანაირად მოეწყო საქმე ავსტრიაში საზოგადოთ ავსტრო-უნგრეთი აურაცხელ ეროვნებათა ბუდეა. გამჭრიახობითა და პარქტიკული მოქნილობით აქ ყველას ჰარბობს პოლონელები და ამიტომ აგრე ადვილათ არ იჩაგრებიან რუსეთმა კი ვერ მოახერხა პოლონელთა ეროვნული მისწრაფების ისე იდვილათ გადახალისება, როგორც ეს შესძლო გერმანიამ რუსიფიკატორული ზომები აქაც ძრიერი იყო მაგრამ სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო. ამ შემთხვევაში სიმართლე აღნიშნა ნ. ა. მილიუტინმა რომლის შეხედულებაც საფუძვლად დაედო 1864 წ. ალექსანდრე მეორის განკარგულებას. „მთელი ჩვენი ენერგია რომელსაც პოლონელთა „გარუსების“ საქმეში ვხმარობთ ამაოა. ჩვენ ვერასოდეს ვერ შევსძლებთ სწავლა განათლების სფეროში რუსული ენის გაბატონებით პოლონელთა გადაქმნას“.

საქმე ისაა, რომ რუსეთთან შედარებით მაღალი კულტურის მქონე პოლონელთა გადაგვარება ვერას გზით ვერ მოხდებოდა მარტო სასწავლებლების კედლებში. საჭირო იყო სხვა რადიკალური საშვალება ამ იმზნის მისაღწევათ.

პანგერმანისტულ აგრესიულ სულისკვეთებას ძლიერი გერმნული კულტურაც თან ახლდა

„პრუსიის მთავრობა თავისი მაღალი ეკონომიურ კულტურული მდგომარეობით ხელმძღვანელობს ეროვნებათა ასი-

## შემოქმედება და კრიტიკა.

### I

### დ ე ზ ე ბ ი

1) მწერლობა და მწერალი. 2) ძველი და ახალი. 3) შაბლონი და ნიდილიზმი. 4) მიმართულებანი ჩვენს პოეზიაში. 5) ამოიწურენ! 6) რას მოვითხოვთ მწერლისაგან?

—

მწერლობა ცხოვრების სარკეაო, ამბობენ. ეს სავსებით მართალი არ არის. მწერლობა მხოლოდ მაშინ არის სარკე ცხოვრების, როცა უკანასკნელს ეყრდნობა, როცა გამოხატავს მასში არსებულ მოვლენებს და თავის წიაღში თავს უყრის და ანსახიერებს ცხოვრების მრავალფეროვნის, მის ორომტრიალს, ინტერესთა შეხლა-შემოხლას.....

მწერლობა სარკეა იმდენად, რამდენადაც მასში იხატება გაბოროტებული ჩვენი სახე და მახინჯი ჩვენი სული....

მწერლობა სარკეა იმდენად, რამდენადაც მასში ლაღად იშლება ჩვენი უძლურების და უნებობის სურათი, გონების მეშჩანური სივიწროვე და გაქვავებული გული ცხად ჰყოფენ აქ ჩვენს უმოძრავო და მკვდარ პიროვნებას....

მწერლობა სარკეა: ის ამჟღავნებს ანგარებითა და ცბიერებით ალსავსე ჩვენს ბუნებას, ჩვენს სიტლანქეს, რომელსაც მხოლოდ ჩვენივე უმეცრება თუ შეედრება!...

მაგრამ მწერლობა არა მარტო ხატავს ცხოვრებას, ის აგრეთვე ანათებს მას. ამიტომ თუ ლიტერატურა ერთის მხრით სარკეა, მეორეს მხრით იგი ლამპარია. ცხოვრების ახალი გაგება, იდეალი ახალი სამართლიანობისა და მშვენიერებისა — აი ის სხივები, რომლებიც ასე უხვად გვტყორცნა ამ ლამპარმა.

აქ მწერლობა შორდება ადამიანის დღიურ ფუსფუსს და ოცნების მსუბუქ ფრთებზე ის მიისწრაფვის ზევით, მზისაკენ, ცისაკენ. მიწის კვნესა და ოხვრა მან ცად აიტანა, იქ გააშუქა მზის მაცოცხლებელ სხივებით და კვლავ დაუბრუნა მიწას ახალ ბედნიერების ამაყ სიმღერებად ქცეული!

ამიტომ ყოველი მწერალი, თუ კი ის მართლა მწერალია და არა შემთხვევით გამვლელი, თავის ნაწერებში გვევლინება ორნაირ როლში: რამდენად ის გამომხატველია თავის დროის, წრისა, ერის ყოფაცხოვრებისა და არსებულ წოდებრივ-კლასობრივ ურთიერთობათა, — იმდენად ის არის მიწიერი მიწისშვილი, ხან ბრმადა მრუდე, ხან კი სწორი და პირუთვნელი!.

ხოლო რამდენად ის სცილდება წრესა და გარემოს, რამდენად ამსხვრევს ზღუდეებს დროისა და სივრცის — იმდენად ის არის ზეციერი, შვილი ზეცისა, მგმობელი ბოროტებისა და მქადაგებელი თავისუფლების, ძმობა სამართლიანობისა და მშვენიერებისა!..

იქნება ერთმა მწერალმა მთელი თავისი გულის ყური მიწის დღიურ ჭირვარამს მიაპყროს, იქნებ მან ბევრი რამ ღირსშესანიშნავი და ძვირფასი მოგვცეს, მაგრამ მისი შემოქმედება მაინც ფრთაშეკვეცილი გამოვა, ხოლო თვით მწერალ-მგოსანი იქნება უსხივო ფოტოგრაფი და არა სრული ხელოვანი!

და თუ მწერალი, მართლაც ნიჭით ზეგარდმოცხებული არის, ის უსათუოდ ფრთებს აისხამს და მზისკენ გაემართება... შეიძლება მეორემ „მიწას ხელი ჰკრას“, მას გვერდი აუაროს და მხოლოდ და მხოლოდ შუქურ-ვარსკლავთ უძღვნას თავის სიმღერა. შეიძლება!.. მაგრამ მისი შემოქმედებაც იქნება უსირცხვილო და მიუხედავად მზის სიახლოვისა — ცივი!... სურვილი, რომ თავის შემოქმედებას ცხოველ-მყოფელი სული შთაბეროს აიძულებს მას „მეოცნებესა და მოლივლივეს“, მიწას დაუბრუნდეს, დაუახლოვდეს მის მარად ახალსა და გამოუცნობ მკერდს!...

ნათქვამის საილიუსტრაციოთ უხვ მაგალითებს იძლევა მხატრული მწერლობა....

ჩვენს აზრს ადასტურებს, სხვათა შორის, ახლახან დაბეჭდილი გრ. რობაქიძის ლექსი „მზის ფოთლები“. ვინც ეს ლექსი წაიკითხა, დაინახავდა, რომ მზის ფოთლები მიწაზე აღმოჩნდა!.. ასე ძნელია ადამიანი მიწას მოწყდეს!..

* *
*

ყოველ მწერალს ახალი რაიმე მოაქვს ან ჰგონია, რომ მოაქვს და მაშინაც კი, როცა აშკარა ძველს ღეჭავს, გაიძახის გაუმარჯოს ახალს, ძირს ძველიო!

მართლაც, რა არა სასიამოვნო ცნებაა ეგ სიტყვა „ძველი“! „ძველი“ — ესე იგი, უფერო და უსიცოცხლო, თვალებ ჩაცვივნული, წელში მოხრილი, უკვე გამზადებული კუბოსათვის.

ვის უნდა იგი?! — არავის! მაშ, შორს ჩვენგან, დაღმეჭილო ძველო!.. და მომართა ახალმა თავისი ცელი, სცვივა და სცვივა ძველის ყვითელი ფოთლები!..

მაგრამ — დახეთ მეამბოხე ცხოვრებას! — „ახალი“ მალე თვით დაძველდა, დაბერდა! რომელია ახალი, რომელია ძველი? ვინ იცის?!

სწორედ აქ გამოდიან სცენაზე შაბლონი და ნიდილიზმი — ორი რაინდი. ერთი ღეჭავს და ღეჭავს ერთსა და იგივეს, არ ეშვება ერთხელ აჩემებულს, მეორე ხელაღებით ყველაფერს უარჰყოფს, წარსულის არაფერი სწამს, თვითნებაა...

პირველი ჩვენს პოეზიაში კარგა ხანია საფუძვლიანად დამკვიდრდა, მეორემ მხოლოდ კარები შემოაღო. მოდის!...

* *
*

თანამედროვე ჩვენს პოეზიას, რომ თვალი გადავავლოთ, დავინახავთ რომ მას ახასიათებს ორი მთავარი მიმართულება. სოციოლოგიური ინდივიდუალიზმი და ინდივიდუალიზმი ესთეტიური...

ამ ორ მთავარ მიმართულებას ემატება ჩვენში ახლად შობილი ნიჰილისტური ულტრა-ინდივიდუალიზმი*)

პირველი ბანაკის პოეტებმა მთელი თავისი არსებით იგრძნეს სიდიადე კოლექტიური განახლებისა. მათ გადაგვიშალეს ბრძოლის სილამაზე, შეგვმატეს ხალისი მოქმედებისა. მათ იყივლეს განთიადის მოახლოვება, მედგრათ მოგვიწოდეს მისკენ და .. ამოიწურენ!.

ესთეტიკოს — ინდივიდუალისტებმა ააწყვეს ოქროს სიმები. ალმასმა მათმა ენამ დაატკბო ჩვენი ყურთა სმენა. სხივმოსილ სიყვარულისა და მშვენიერების ჰიმნმა ჩვენს გრძნობათ მოჰფინა ახალი შვება. ამაღლდა სული.. სირინოზთა სიმღერამ ოცნების ფრთები შეგვასხა და.. ამოიწურენ ისინიც!..

დიახ, ამოიწურენ ჩვენი პოეტები! ეს მწარე სინამდვილეა!

არ გჯერა?! მაშ, დავრაზმოთ ისინი და გადავავლოთ მოკლეთ თვალი!

ჩვენი ნიჭიერი მგოსანი ი. გრიშაშვილი მიუხედავათ დიდი ტალანტისა, ვიტყვი ვულგარულად, „იუბკას“ *) ვერ გასცილდა!.. ჯადო მუსიკალურია ზოგი მისი ლექსი, მაგრამ ბევრი მათგანი უბრალო განმეორებაა ავტორის მიერ უკვე დაწერილისა, ბევრსაც აშკარა სიმჩატისა და პატალოგიის ბეჭედი აზრის.

არა მეგობარმა მკითხველმა აზრი მრუდეთ რომ არ ჩამოგვართვას, მოვიყვან მაგალითს.

ყველას კარგათ ახსოვს პუშკინის ტატიანას წერილი ონეგინისადმი. ვერავინ იტყვის, რომ ეს წერილი უნიჭოთ იყოს დაწერილი, მაგრამ, მიბრძანეთ, რაღა დარჩებოდა პუშკინისაგან, რომ მას მხოლოდ სიყვარულის ბარათები ეწერა?! — მგონია ბევრი არაფერი!

იგივე უნდა ითქვას აქაც. მწერალი ჩვენ თვალ-წინ უნდა იზრდებოდეს და იდეიურად ვაჟკაცდებოდეს. თუ ეს ასე არ არის, ლიტერატურული სცენიდან ის უკვე გასულია!

გ. ტაბიძე ტირილში გვათრობს. მის ნაღვლიან სევდას ჩვენ უფრო გვრძნობთ, ვინემ ვეგე-

*) თუ აქ პატივცემული ავტორი მხოლოდ ჩვენებურ „ფუტურისტებს“ გულისხმობს, ვერ და ვეთანხმებით, ვინაიდგან ჩვენ უკვე ვუწოდეთ მათ ზედგამოჭრილი სახელი. **რედ.**

*) მკითხველი მაპატიებს ამ სიტყვას.

მილაციის საქმეში, ხოლო ჩვენს ერთად ერთ საშუალებას ამავ საქმისათვის ფუქსავატა მოხელეები წარმოადგენსო“ ამბობს გ. ა. ევრეინოვი. მართალი თქმაა!

ეკონომიურად და კულტურულად ჯანსაღ ერს წყალ-წყალა იმპერიალისტები ვერ მოსპობენ. აგრე გასინჯეთ, ვარშავაში ასამდე პოლონურ პერიოდულ გამოცემაში, მხოლოდ ერთი რუსული გამოცემაა, და ისიც მთავრობის ხარჯზე. პირველ ხანებში თუთხმეტამდე მსხვილი მრეწველთა რუსული ფირმა იყო ვარშავაში, ხოლო დღეს ერთი წიგნის მაღაზიაა მეორე ჩაისაა და მეტი არაფერი. ცხადია ასეთ ერს ფიზიკურად თუ მოსპობთ, თორემ სულიერად ძნელია მათი გადამახინჯება. პოლონური ენა და ამ ენაზე ფართედ გავრცელებული ლიტერატურა, პოლონელთა სარწმუნოებრივი ერთობა, ზნე-ჩვეულება, პოლიტიკურ, ისტორიულ თავგადასავალთა მოგონება და სხვა მრავალი, უეჭველი პირობაა პოლონელთა დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივობის აღდგენისა. თვით ძლიერნი ამა ქვეყნისანი ჩააფიქრა ამ გარემოებამ და ყველგან თავისუფლებას პირდებიან. იქნებ სხვა მიზანი ჰქონდეს გულუხვად გამბოძებელ იმპერიებს. ფაქტი მაინც ფაქტად დარჩება და თითეულ პოლონელს ღრმად სწამდეს იქნება რომ, „იეშჩე პოლსკა ნე სგინელა.“

ჯანე.

# ახალი ამბავი.

✦ ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭომ მისალოცი დეპეშა გაუგზავნა პეტროგრადში, სახელმწიფო საბჭოს წევრად ახლად არჩეულ თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავ. კ. აბხაზს, რომლის პასუხად გუშინ საბჭომ შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო პეტროგრადიდან: „გულ-წრფელ მადლობას ვუცხადებ, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მისალოცი დეპეშისათვის“. ხელს აწერს სახ. საბჭოს წევრი თავ. კ. აბხაზი.

✦ ქალაქის გამგეობა ამ დღეებში მიიღებს რამოდენიმე ვაგონ ფქვილ შაქარს ქალაქის საჭიროებისათვის.

✦ მისმა უსამღვდელოესობამ იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ ოფიციალური წერილები დაუგზავნა იმერეთის სამღვდელოებას, რომლითაც მათ აუწყებს, რათა მღვდლებმა თავიანთ მრევლთ გააცნონ ხოლერასთან საბრძოლველი საშვალებები.

✦ ქ. საქ. საზოგადოების მთავარი გამგეობა სთხოვს, ბათუმის განყოფილებას რომ უმუშევარი ლაზები და აჭარლები გაგზავნოს ფოთში, თანახმად ფოთის სარაიონო განყოფილების შუამდგომლობისა.

✦ სალიტერატურო საღამო ხვალ ქალაქის თეატრში გაიმართება დიდი სალიტერატურო საღამო 5 განყოფილებათ. ალ. წერეთელი ისაუბრებს უახლოეს ქართულ ლიტერატურაზე გ. ნიორაძე წაიკითხავს ლექციას: „ქართველი პედაგოგი და მისი იდეალები“. ცახელი, ბ. ახოსპირელი, ის. ნიკოლაიშვილი, სიმ. წყეელი, მიხ. ბოჭორიშვილი, ნ. მიწიშვილი, ხ. ვარდოშვილი და სხვანი წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებს. იმხნელის ასულნი და სხვა მომღერალნი შეასრულებენ რამდენიმე რომანებს, წაკითხული იქნება ეშმაკის სცენები. ნემო ვ. ტყეშელაშვილი ვ. აბულაძე და მომღერალთა გუნდი შეასრულებს „ვაი ვუი“ ს და „მიცოცავს“.

✦ ქალაქში ეს ერთი თვეა შაქრის ნაკლებობაა, აღმოჩნდა რომ ვაჭრებს აშიანცს და წერეთელს დიდ ძალი შაქარი ჰქონიათ გადამალული, რომელიც ბაზრის ზედამხედველმა აღმოაჩინა, როგორც ვტყობილობთ ვაჭრებს ზედამხედველისათვის მიუციათ, პირველს 300 მ., ხოლო მეორეს 100 მ., რომ ეს საქმე დაეფარა მაგრამ ზედამხვდველი ასე არ მოქცეულა, მას ეს ფულები ქალაქის გამგეობისათვის წარუდგენია და შაქარიც ჩამოურთმევია ვაჭრებისათვის.

✦ ჯარში გაწვევიდან განთავისუფლება. უკანასკნელი სახალხო განათლების ცირკულიარის ძალით ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლებული იქნებიან უმაღლესი სასწავლებლების ეგრეთწოდებული „მლადში პრეპოდავატელები“ 1 და მეორე ხარისხის მოლაშქრენი. 1917 წლის პირველ ივნისამდე.

✦ ყელჭირვება. ახალ სენაკის უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელში მოწაფეთა შორის გახშირდა შემთხვევები ყელჭირვებით ავათმყოფობისა. მოსალოდნელია სწავლის შეჩერება.

✦ სამეგრელოში, მცხოვრებთათვის სამეურნეო საქმეებში დასახმარებლად, სახალხო სკოლებთან ერთად არსებობენ აგრონომიული განყოფილებები შემდეგ ადგილებში: ნაოდაღვეში (სენ. მაზრა) სასწავლებელს აქვს საკუთარი ბაღი და სანერგე, საცდელათ აქვს. 3 ქცევა მიწა საღხინოში (სენ. მაზრა) რომელსაც აქვს სანერგედა, სავენახე დაარსებულია სამი წლის წინათ. სოფ. თამაკონში (სენ. მაზრა) და არსებულია რამოდენიმე წლის წინათ, აქვს ბაღი, სანერგე, ბოსტანი და სავენახე დ. ზუგდიდში, რომელიც განსკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბაღოსნობას, ნარინჯის, ბაღების განშენებას, ჩაის პლანტაციების გამრავლებას და ბამბუკის ხის დარგვას.

✦ 26 ოქტომბერს ახალციხეში გარდაცვლილა ექიმი ვასილ გიორგის ძე გამრეკელი რომელსაც სხვა და სხვა საკულტურო-საგანმანათლებელო საზოგადოებრივ დაწესებულებათათვის უანდერძებია 30,000 მანეთზე მეტი.

✦ რედაქციამ მიიღო, თვიური სამეცნიერო პედაგოგიური ჟურნალის „განათლების“ ოქტომბრის და ნოემბრის ნომერი ჟურნალი ჩვეულებრივ შინაარსიანათ არის შედგენილი.

✦ ომში, მტერთან მამაცურად ბრძოლისათვის დაჯილდოებულ იქმნა შემდეგი ქართველი ოფიცრები: მეორე ხარისხის წმინდა ანნას ჯვრით დააჯილდოეს კაპიტანი ალექსანდრე ზაქარიაძე და პრაპორშჩიკი ალ. ხამალაშვილი.

## სოფლად და ქალაქად.

დ. ჩოხატაურში, 24 ოქტომბერს, ცხენით მიმავალ ფარსადან ტრაპაიძეს უცებ ზნედამ მოუარა, ცხენიდან გადმოვარდა, ქვაზე თავი დაჰკრა და იქვე გარდაიცვალა.

— დ. ხონში საქონლის ჭირმა იჩინა თავი. დახმარება არსაიდან არის, ჭირი ანადგურებს საქონელს.

— სოფ დანირში (ქუთ. მაზრა) 25 ოქტომბერს 7 შეიარაღებული ავაზაკები თავს დაესხენ ალექსი ჯღარკავას, წაართვეს 92 მანეთი და მიიმალენ.

— სოფ. ნარაზენი (ზუგდ. მაზრა) 18 ოქტომბერს, 4 შეიარაღებული ბოროტმომქმედები სახლში შეუცვივდნენ ალექსანდრე გრიგოლიას, წაართვეს 50 მან. და მიიმალენ.

— სოფ. მერეგში (შორ. მაზრა) 16 ოქტომბერს ავაზაკებმა სახლი გაუტეხეს სანდრო ასანიძეს, წაართვეს სხვადასხვა საოჯახო ნივთებს გარდა ფულათ 149 მ. და მიიმალენ.

— სოფ. ნარაზენში (ზუგდიდის მაზრა) 17 ოქტომბერს ორმა შეიარაღებულმა ავაზაკმა სახლი გაუტეხა მ. თოდუას, წაიღო საოჯახო ნივთები და მიიმალა.

— სოფ. ლიაში (ზუგდ. მაზრა) 19 ოქტომბერს რამოდენიმე შეიარაღებული ავაზაკები გზაში დახვდენ ერმილე სამუშიას, წაართვეს 20 მან., საფულე, კალოში და მიიმალენ.

— სოფ. საყვავის-ტყეში (ოზურგეთის მაზრა) 26 ოქტომბერს ამავე სოფელში მცხოვრებ გლეხს ტარასი ჩხიკვაძეს თავს დაესხა მათე მაღულარია, რომელსაც სურდა მისთვის ბიძაშვილ ქალის მოტაცება, ჩხიკვაძემ წინააღმდეგობა გაუწია, ასტყდა მათ შორის ჩხუბი, რის გამო დაჭრილ იქმნა მაღულარიას მიერ რევოლვერით ჩხიკვაძე.

## თბილისი

— თ დ ა. ჩერქეზიშვილის ავადმყოფობის გამო. ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე ა. ნ. ჩერქეზიშვილი, როგორც პეტროგრადიდან დეპეშით გვატყობინებს ბ-ნი ალ. ქორქია, თანდათან რჩება და მალე საავადმყოფოდან სახლში გადაიყვანენ.

— ჟურნალის გამოცემა. ქართველ მოწაფეთა ჯგუფს განუზრახავს გამოსცეს თბილისში პირველ იანვრიდან სამოწაფო-სამმხატვრო, სალიტერატურო ჟურნალი.

— ფრესკების გამოფენა. ქართ. ხელოვანთა საზოგადოებამ თავის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა მოაწყოს ფრესკების გამოფენა ამ მოკლე ხანში. გამოფენილ იქნება როგორც საქ. საისტ და საეთნ. საზოგადოების, ისე ხელოვანთა საზ. ფრესკები, სულ 40 ცალამდე, მეცამეტე საუკუნიდან დაწყებული.

— ინსტრუქციების დაგზავნა. ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების წლიურ კრებაზე დამტკიცებული ინსტრუქცია ამ საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დაუგზავნა განყოფილებებს სახელმძღვანელოთ.

— სენატორი ჩხეიძე გუშინ 11 საათ. და 13 წ. თბილისიდან პეტროგრადს გაემგზავრა. სადგურზე სენატორი გააცილა ქ. საქ. საზ გამგეობის თავმჯდომარემ მიხ. ვახტ. მაჩაბელმა, რომელსაც წასვლის წინ შეჰპირდა ყველა შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

— სამუშევრის შოვნა. ქ. საქველმოქმედო საზ. მთავარი გამგეობა საზოგადოების განყოფილებათა საყურადღებოდ აცხადებს, რომ სოხუმის განყოფილებას შეუძლიან სამუშაო ადგილი უშოვოს ომისაგან დაზარალებულ 100 ქართველ მაჰმადიანს და ასეთების სოხუმში გაგზავნა ეხლავე შეუძლიანთ.

## ქართული საკულტურო საგანმანათლებლო საზ. კავშირი.

29 ოქტომბერს მომხდარა ქართულ საკულტურო საგანმანათლებლო საზოგადოებათა კავშირის გამგეობის კრება. კავშირის თავმჯდომარის გ. ნ. ყაზბეგის თავმჯდომარეობით. მას დასწრებია საგანგებოთ მიწვეული მცოდნე პირები და ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი. ხსენებული კავშირი იმდენათ სერიოზული ფაქტორია ჩვენს ცხოვრებაში, რომ მის მოქმედებას ფხიზლათ უნდა ვადევნებდეთ თვალ-ყურს ამიტომ ჩვენს მკითხველებს ვაცნობთ ხსენებული კრებას ანგარიშს ,,სახ. ფურცლის'' გადმოცემით:

,,კავშირის გამგეობის მდივანმა ვ. ბურჯანაძემ წაიკითხა შემდეგი მოხსენება კავშირის გამგეობის მოქმედების დაწყებითი პროგრამის შესახებ:

თავისი პირველი სხდომა კავშირის გამგეობამ მოანდომა პროგრამის განსჯას და მომავალი მუშაობის პროექტის შედგენას, გამგეობას საფუძვლად უნდა ის უმთავრესი მიზნები, რომლებიც ნაჩვენებია ყრილობის მიერ მოწონებულ წესდებაში, ე. ი.

1) ყოველმხრივ [illegible] ლოს კულტურ[illegible] საჭიროებათა და ამის მიხედვით ღონისძიებათა გამორკვევა მათ დასაკმაყოფილებლად და

2) შეთანხმებით მოქმედება კავშირის შემადგენელ საზოგადოებათა საქმეში. ზემოაღნიშნულ მიზანთა აღნუსხვიდან სჩანს, რომ გამგეობის დანიშნულება მხოლოდ დისკრეციონალურია.

კავშირის გამგეობა არ ერევა და არ ეხება კავშირის წევრთა უფლებებს; არ უნდა დამოუკიდებლად იმოქმედოს თავის კერძო საკითხების გადაწყვეტის დროს. გამგეობას შეუძლიან მხოლოდ ურჩიოს სასურველი გზა საერთო მიზნების მისაღწევად და ხელი შეუწყოს მათ განხორციელებას კანონიერის საშუალებათ.

ხელმძღვანელობა რა ზემო აღნიშნულ დებულებით, გამგეობა შეჩერდა შემდეგ პრაქტიკულ ზომაზედ, რომელსაც ჯერჯერობით აქვს მხოლოდ ცდის ხასიათი.

პრინციპიალურ საკითხის აღნიშვნის შემდეგ, გამგეობა მიანდობს თავის წევრებს ან განსაკუთრებით მიწვეულ სპეციალისტებს შეადგინონ მოხსენებანი დასაბუთებულ რეფერატების სახით; ამ რეფერატების განხილვის შედეგს, გამგეობა გამოიყენებს, როგორც მასალას რეზოლიუციათა გამოსატანად და ცხოვრებაში იმ ღონისძიებათა გასატარებლად, რომლებიც მოწონებულ იქნებიან კავშირის საზოგადო ყრილობის მიერ.

ამ მოხსენებათა პირველი სერია, გამგეობის აზრით, უნდა ტრიალებდეს განათლების უმთავრეს იარაღის—სახალხო სკოლების ირგვლივ.

ძველმა და მუდამ კი ახალმა საკითხმა სახალხო სკოლების სახე, ენა, პროგრამების რაოდენობა და ბოლოს, კანონმდებლობანი, რომლებიც აწესრიგებენ კერძო და ეგრედ წოდებულ უწყებათა სკოლების უფლებებს, იმდენად არიან არეულნი, რომ მაგალითად, ერთი რაიონის მთავრობის წარმომადგენელნი უკრძალავენ იმის გაკეთებას, რაც მეზობელ რაიონებში ნება დართული და მოწონებულია და არ იწვევს არავითარ გაუგებრობას. ბოლოს საჭიროა გავითვალისწინოთ მომავალიც: მომწიფებულია პირველდაწყებით სკოლათა ახალი სამინისტროს პროექტი, რომელიც თითქმის ორი წელიწადია, რაც მთავრობის სფეროებში სუფევს, მომწიფებულია აგრეთვე კავკასიის ერობის დაწესებულებათა პროექტი: ეს ორთავენი, ეჭვს გარეშე, დიდს გავლენას იქონიებენ ჩვენს საკულტურო საგანმანათლებლო საზოგადოებათა სასკოლო მუშაობაზედ და ამ მუშაობის ხასიათზედ.

აი ის კითხვები, რომლებიც ამ ჟამად იჩენენ თავს და თხოულობენ პრაქტიკულ განხორციელებას, ამავე დროს შეადგენენ

---

ბულობთ. როცა მის გრძნეულ ლექსებს კითხულობთ, გრძნობთ ავტორთან სულის ინტიმურ ნათესაობას. მას „გული სტკივა“. ამიტომ მხოლოდ თავის გულს გვიშლის, სხვის გულში აღარ იხედება.

ამაშია მისი სიძლიერე და ამავე დროს სისუსტეც!..

მგოსანი გ. რუხაძე, და გ. ქუჩიშვილი მოგვევლინენ, როგორც სახელოვანი მოქალაქენი და მოქალაქეებადვე დარჩენ.

მათში მთქალაქემ სავსებით დაჩრდილა მგოსანი!

ძველ ახალგაზრდებში ცოტაოდენი გონებრივი მოძრაობა ა. შანშიაშვილს ეტყობა. ჩვენს პოეზიაში ის ერთი სერიოზული და დიდი ნიჭის მქონებელი მწერალთაგანია, მაგრამ მგოსანი ხელს ჰკიდებს მეტად რთულ თემებს („ქალი გრძნეული“, „ბერდო ზმანია“), ისეთ საკითხებს, რომელთათვის საკმარისი არ არის მარტო ნიჭი, არამედ საჭიროა აგრეთვე დიდი ერუდიცია, ბევრი დრო და დაკვირვებული დამუშავება. უამისოდ შემოქმედებას სიმკვრივე (ПЛОТНОСТЬ) აღარ ექნება...

ეს კარგად უნდა დაიხსომოს მგოსანმა!...

ასე თუ ისე, ჩვენ წინდაწინ შეგვიძლია ვსთქვათ, რომელი პოეტი რას დასწერს, რადგან ყოველი ჩვენი პოეტი ერთფეროვანია, ყველა მათგანს აქვს აჩემებული ერთი რაიმე და სხვა რამეებისთვის „აღარ სცალია“ (ვ რუხაძის სიტყვებია):

ერთი მუდამ ტირის, მეორე მუდამ კოცნაშია, მესამე მუდამ ბრძოლისაკენ მოგვიწოდებს და სხვ. ხოლო საერთოდ ყველა ეს აშკარა შაბლონისა და არა ბუნებრივობის შთაბეჭდილებას ახდენს.·.

* * *

აქვე არ შემიძლია ორიოდე სიტყვით არ მოვიხსენიო ჩვენი ახალგაზრდა ულტრა ინდივიდუალისტები, რომლებიც თავის თავს „სიმბოლისტებს“ უწოდებენ. ყველა მათ ლექსებს ჩვენ აქ ვერ შევეხებით, ვიტყვი მხოლოდ:

როცა „ახალად მოსულნი“ გვეუბნება ძირს შაბლონი, შექსპირი, გაუმარჯოს ბოდლერ-სო--ეს იგივეა, რომ ვსთქვათ: ძირს სხვისი შაბლონი, გაუმარჯოს ჩემს შაბლონსო, რადგან დღეს მომავალი პოეზიისთვის ბოდლერი და—თვით ბალმონტიც—ისეთივე შაბლონის არი როგორც შექსპირი, შილლერი და სხვები!.. *)

„ძირს ყოველგვარი შაბლონი“! ჩვენ სავსებით ვღებულობთ ამ ლოზუნგს. დიახ! ძირს ყოველგვარი შაბლონი!

მაშასადამე, ძირს ცხოვრების უდიდესი და უსაშინლესი შაბლონი, რომელსაც ადამიანის ტანჯვა და კვნესა ჰქვია!

ეს მინიმუმია:

„Поэтомъ можешь ты не быть,
Но гражданиномъ быть обязанъ“
(ნეკრასოვი)

მაქსიმუმი აღარ იწერება...

პიროვნების სავსე და ფერადიანი ცხოვრება, ამაყი ძახილი ადამიანისა და ხელოვნების ბრწყინვალე განახლებაზე და სხვა ხალისი ინდივიდუალისტური ტენდენციები სიმბოლიზმისა ჩვენთვის მეტად ძვირფასი და ახლობელი რამ არის... ჩვენ გვიყვარს თამამი სიტყვა. მას ყოველთვის მივიღებთ ჩვენ, თუ კი ის წრფელი, სალი და ღრმად განცდილი იქნება არავითარ „ტაქტიკურსა“ და სხვა მეშჩანურ მოსაზრებებს აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს!

ძირს ყოველგვარი შაბლონი—ღრმა ინდივიდუალისტური ძახილი არის, ხოლო ქადაგება „გაუმარჯოს ყოველგვარ ორგიას დაუზოგავად ამრავლეთ ხალხი“-ო და სხვ.—ეს კი მეშჩანობაა!..

ჩვენ უარვყავით უკანასკნელი. გვიპასუხეს: ჩვენ ხელოვნების ახალი გაგება მოგვაქვს. ორგიას ჩვენ შემოქმედებაში ვგულისხმობთო კეთილი და პატიოსანი, მაგრამ თვით ხელოვნება რაში ან სად იგულისხმება?!

ჩვენ ვიმეორებთ: არ არსებობს ხელოვნება ხელოვნებისთვის, არსებობს მხოლოდ ხელოვნება ადამიანისთვის! მაშასადამე, რაც უფრო მეტ მხატვრულს, ზნეობრივსა და იდეიურ-ფილოსოფიურ ღირებულებას შეიცავს ლიტერატურული ნაწარმოები—მით უფრო მაღლა დგას იგი, მით უფრო დაფასებულია მწერალ-მგოსანი!..

ჩვენებური „სიმბოლისტები“ თავის მოწოდებას, სხვათა შორის, საოცარ სიტყვების შექმნაში ხედავენ, ჩვენ კი გვგონია, რომ უდიდესი დარსება ხელოვნებისა სიმარტივე არის და ვისაც სურს მაინცდამაინც გაუგებარი დარჩეს, მოეგონებ, რომ ყველაზე უფრო გაუგებარი ის აზრები იყო, რომლებიც მათი ავტორების თავშივე რჩებოდენ!..

გარდა ამისა სიმბოლისტურ მართლწერის მიხედვით შესწორებული მარინეტი არც ისე გაუგებარია, როგორც ეს, იქნება, ჩვენებურ „სიმბოლისტებს გონიათ!..

ჩვენ მზად ვართ დავამსხვრიოთ ყველა ძველი და ახალი კერპები, მაგრამ „ცხოვრების მარგალიტებს“ ზღვაში ვერ გადავყრით—ეს ნიჰილიზმია!—და იმათ, ვისაც ჩვენი სულიერი სიმდიდრე შეუქმნიათ, ვერ ვეტყვით.

„არული, არული“-ო, რადგან ეს იქნებოდა არა ამაღლება ხელოვნებისა, არამედ უმაგალითო შეურაცხყოფა და სიკვდილი მისი!..

ჩვენს პოეზიას ესაჭიროება არა სიკვდილი, არამედ სიცოცხლე, გაფურჩქვნა, აყვავება . ამიტომ ვეუბნებით ახალგაზრდა „სიმბოლისტებს“:

დაგვანახეთ მხატრული ძლიერება რჩეულთა, დაგვანახეთ ინტელექტუალური, ბრწყინვალე, ის ღვთაებრივი ძალა, რომელსაც ეთაყვანება ყოველი უბირი და მაშინ... მაშინ ჩვენ, მართლაც „ავანთებთ ოქროს გვირგვინებს“, მაგრამ ავანთებთ არა ჩვენს თავზე, არამედ თქვენს თავზე...

დიახ თქვენ დაგადგამთ დიდების გვირგვინებს, მანამდის კი მოგახსენებთ: თქვენი მოძღვრების მთავარი აზრი, რამდენად ეს თქვენს ნაწერებსა და გამოსვლებში გამოიხატება, არის ულტრა-ინდივიდუალიზმი, ანუ იგივე მეშჩანობა.

რაც შეეხება თქვენი მოძღვრების დადებით მხარეს, აქ თქვენი ხმაურობა არის არა ძლევამოსილი წინსვლა მხედრობისა, არამედ, როგორც რუსები იტყვიან „военный бѣгъ на мѣстѣ“!

ჯერჯერობით კი ვსვამ წერტილს. სხვა დროს კვლავ დავიბრუნდებით.

* * *

ასეთია მოკლედ ჩვენი პოეზიის დღევანდელი ყოფა. როგორი უნდა იყოს მისი მომავალი, რას მოვითხოვთ ჩვენ თანამედროვე მწერლისაგან?

ლიტერატურულ იდეალს ჩვენ წარსულში არ ვეძებთ და არც ქართველ მწერალს მოვთხოვთ, რომ მან წეროს ისე, როგორც შოთა, ილია და აკაკი სწერდენ. ქართველ მწერალ მგოსანს ჩვენ ვეტყვით მხოლოდ: იყავი მაღალი, ვით ალმაფრენა მთის არწივისა და სპეტაკი, ვით ქვა მარმარილოსი, ვით მთის ფოთლებზე პირველი თოვლი! დეე, ყოველი შენი ნაწარმოები იყოს ახალი სახარება ახალი სიყვარულისა და სიმშვენიერისა.

სწერე! ყოველი სტრიქონი, შენ მიერ დაწერილი, დაე მეტყველებდეს მიუბაძველ და მიუწდომელ ორიგინალობაზე.

შენი სიტყვა უნდა იყოს მძლავრი, ვით ძლიერია სწრაფვა სიცოცხლისადმი და ტკბილი, ვით ტკბილია მთრთოლვარე ამბორი პირველი სიყვარულისა! არ შეგიძლია?!—მაშ იცოდე: ნიჭი არა გაქვს, მწერლობაზე ხელი აიღე!..

დუტ მეგრელაძე.

*) ჩვენა გვგონია რომ შექსპირისა და შილლერის გვერდით ბოდლერი და ბალმონტი ძნელი სახსენებელნი არიან. რედ.

თემებს ჩვენი მოხსენებებისას. აიტომ გამგეობამ დაადგინა მიაქციოს თქვენი ყურადღება დღევანდელ პირველ მოხსენებას სახალხო სკოლების შესახებ. ჩვენმა პატივცემულმა პედაგოგმა და ჩვენი საზოგადოების წევრმა ლ. გ. ბოცვაძემ, შეიმუშავა რეფერატი შემდეგ თემაზედ: „სახალხო სკოლა და პროფესიონალური განათლება".

ზემო აღნიშნულთან ერთად გამგეობას განზრახული აქვს სისტემატიურად შეისწავლოს სამშობლოს კულტურული საჭიროებანი და ეს მუშაობა დაიწყოს საქართველოს იმ კუთხეებიდან, რომელნიც მოკლებულნი არიან არსებულ საგანმანათლებელო საზოგადოებათა მზრუნველობას. ეს კუთხეები არიან: სვანეთი, ხევსურეთი, სოხუმისა და ბათომის ოლქების ნაწილები ამ საქმის განსახორციელებლად გამგეობას აზრად აქვს მოიწვიოს მცოდნე პირები, რომლებიც გამოსთქვამენ ამ ნიადაგზედ მუშაობის სურვილს.

ზემოდასახელებულ მიზნების სისრულეში მოსაყვანად, კავშირის გამგეობა საჭიროდ აღიარებს ნივთიერ საშუალებათა გაძლიერებას; 1) გამოითხოვოს სათანადო წესით ნებართვა კერძო შემოწირულებათა მისაღებათ ყოველგვარ უძრავ-მოძრავ ქონებათა შეძენა-გაყიდვის შესახებ; და 2) აღძრას შუამდგომლობა, რათა მიენიჭოს კავშირს კავკასიის საეროზო ხარჯთ აღრიცხვის შედგენის დროს მონაწილეობის მიღების უფლება.

„სახ. ფ."

## პასუხად

### ბ—ნ ზ. ჭიჭინაძეს.

(იხილეთ გაზ. „სამშობლო", 1916 წ. 25 ოქტომბერი № 467).

ბ. ზაქარია! თქვენ ბრძანებთ: პატივცემული რედაქცია „სამშობლო-სი" დარბაისლურად და დინჯად მოიქცა, რომ ქართველ კალმოსან სომხებს კითხვები მისცა მის შესახებ, თუ ვინ ბრძანდებიან ისინი ტომით, ენით და მოდგმით „ვინაიდგან ამ განცხადებით ერთხელ და სამუდამოთ გამოირკვეოდა და გადაწყდებოდა ის კითხვები, რომ სცხოვრობენ საქართველოში, თუ არა გრიგორიანი ქართველები". მე მგონია ეს ცოტა გადაჭარბებული იმედი უნდა იყოს!

დანარჩენებთან საქმე არა მაქვს და, აჰა, მე ვამბობ: არამც თუ ქართველი გრიგორიანი, თვით სულით, გულით და მთლად ჩემის არსებით ქართველი ვარ. აგრეთვე ვიტყვი, რომ საქართველოს ყოველი კუთხე სავსეა ქართველი გრიგორიანებით.

რაო, თქვენა გგონიათ იმითი ოდნავ მაინც გამოირკვა და გადაიჭრა ეს მწვავე საკითხი?!. არა, და ათასჯერ არა! კითხვის ასე დაყენება სხვა რომ არა ვსთქვათო, რა უფრო რევს საქმეს, ვიდრე არკვევს და სჭრის!...

როდესაც გაზეთ „სამშობლო"-ში" დაიბეჭდა ღია ბარათი გრიგორიან ქართველ მოღვაწეთა შესახებ, მე მეორე თუ მესამე დღესვე დავწერე საპასუხო წერილი და მივიტანე გაზეთ „თანამედროვე აზრში" და ვთხოვე, რომ რაც შეიძლება ჩქარა დაებეჭდათ. გავიდა თითქმის მთელი კვირა, რომ ჩემი პასუხი არსად არა სჩანდა. ვიფიქრე, იქნება უხერხული რამ დაინახეს ჩემს წერილში და მიტომ არა ბეჭდავენ—მეთქი... ის იყო, სწორეთ იმ დღესვე ვაპირებდი რედაქციაში შევლას რომ რედაქციის კაცი მოვიდა და გამომიცხადა: რედაქცია გთხოვს, თუ სახლში შენი საპასუხო წერილის დედანი მოგეპოვება, გადაწერე და გამოგვიგზავნე, რადგან წინანდელი დავკარგეთო.

ამის შემდეგ ვიფიქრე: მე ვისი ტიკი-ტომარა ვარ, რომ ასე ძალიან ავჩქარდი; მოდი, მეც მოვიცდი და როცა ჩემზე უფროსნი ამოიღებენ ხმას, მეც მაშინ დავილაპარაკებ—მეთქი...

არავინ კრინტი არ დასძრა: არც ღრმად პატივცემულმა ან. თუმანიშვილ წერეთლისამ, არც ბ. გრ. გველესიანმა და არც ი. გრიშაშვილმა. ეჰეე! ვიკბინე თითზე: ალბად იმათაც იგრძნეს, რომ უხერხული, მეტად მოუხეშავი შეკითხვაა და იმიტომაც ხმა არ ამოიღეს—მეთქი.*) გამეხარდა კიდეც, რომ ჩემი საპასუხო წერილი დაიკარგა. ვსთქვი ჩემს გულში: „ზოგი ჭირი მარგებელია,—ჩემს პასუხს დაბეჭდავდნენ და ყველაზე უწინ მე გავბრიყვდებოდი—მეთქი!?

მაგრამ ეხლა-კი, როცა ბ. ზაქარია აღიძრა თავისი ქარიანი კალმით და მშვენიერად გამოგვთათხა ყველანი, როდესაც მან გვიწოდა: მტოცავი მელები, ქართველ ერისადმი, გველურ კბენას მიწვადინებულნი, უზრდელები, ურცხვები ბრიყვები, ქართველთა შორის მოკავნენი და სხვაგან კვერცხის მდებელნი და სხვა და სხვა,—ამის შერიგება კი ყოვლად შეუძლებელია.

შესაძლოა ბ. ზაქარიამ ბრძანოს: ესე იმიტომ დავწერე, რომ გამომეწვიენთ... თქვენი სიჩუმე დამერღვიაო .. სიჩუმის დასარღვევათ, პატივცემულო მოხუცო, სულაც არ არის საჭირო, რომ უზრდელობა ვიხმაროთ ფარად და ლახტათ!..

„ისინი (ე ი. ჩვენ) ქართველობით და ქართული მწერლობითაც კარგათ სარგებლობენო"... ბრძანებთ თქვენ.

მე სხვებთან რა საქმე მაქვს და ჩემზე კი ვიტყვი, რომ ჩემს ნაჯღაბნებში სამი კაპეიკი არავის არ მოუცია, გარდა „ნაკადული"-ს რედაქციისა, რომელსაც პრინციპიალურად გადაწყვეტილი აქვს ყველას თავისი შრომის სასყიდელი მისცეს.

რა წიგნიც კი გამოვეცი, რომ გამიჭირდა, სულ ჩარჩ ვაჭრებს მივყიდე ნახევარ ფასში. დიახ, ეს დიდი მეტად დიდი სარგებლობაა! ..

უკაცრავად! ან იქნება ქართული თეატრიდანა მაქვს რაიმე „დიდი," "უზარმაზარი პალატები" დადგმული?!

რა ბრძანებაა!! აგერ თექვსმეტი წელიწადია რაც სუფლიორადა ვარ და რა „ბუტკაშიაც" პირველად ჩამაძვრინეს, ისევ იქვე მაძვრენენ. და თუ გშურთ, ბ. ზაქარია, თქვენ კი ვერ გაკადრებთ, და ვინც უპირველესი მტერი გყავდეთ ქვეყანაზე, თუნდაც ის სომეხთა ნათლის ბოძიც იყოს, ჩასვით ჩემს „ბუტკაში" და ამითი მის ჯავრს ამოიყრით!..

დასასრულ აი რა უნდა მოგახსენოთ ბ. ზაქარია! ვისაც ცოტაოდენი მოსაზრება აქვს ის უარს არა ჰყოფს, რომ საქართველოში ქართველი გრიგორიანები მრავალნი არიან. რაც შემეხება პირადად მე, აი რას გეტყვით: აგერ თექვსმეტი წელიწადი შესრულდა, რაც ქართველ საპატიო დაწესებულებაში ვმსახურებ; ამდენივე ხანი შეძლებისადაგვარად ვემსახურები ქართულ ლიტერატურას; დღიდან დაბადებისა ქართულად ვიცინი, ქართულად ვმწუხარებ; მამა-პაპითვე ქართველებთანა მაქვს ჭირი და ლხინი გაყოფილი; ამ წუთასვე, ქ. თელავში, ჩემს სამშობლოში, ას რვა წლის პაპა მყავს, რომელმაც სომხური „ინჩი" არ იცის და თუ სხვამ არ გაახსენა, რომ ის რჯულით სომეხია, თავი მთლად ქართველი ჰგონია!.. ეს ყველა ასეა. და ამის შემდეგ მე თითონ მოგმართავთ თქვენივე კითხვით: ბეგლარ ახოსპირელი ქართველი გრიგორიანია, თუ სომეხი?!

ბეგლარ ახოსპირელი.

1916 წ. 1 ნოემბერი.

*) რად არის ჩვენი შეკითხვა „მოუხეშავი" ამას დიდად პატივცემული ჩვენი მგოსანი არ ამბობს და ვერც დაამტკიცებს".

რაც შეეხება თვით ამ პასუხის პასუხობას, ამის მსჯავრის დადება თვით მკითხველისათვის მიგვინდვია.

რედ.

## პროვინციის ცხოვრება.

**სოფელი ხანი** (ქუთაისის მაზრა) ეს სოფელი ერთი განაპირა სოფელთაგანია ბაღდადის უბანში. დაჯილდოვებულია კარგი სასმელი წყლით, საღი ჰაერით, ხეტყით და სხ. აქ მშრომელი, პატიოსანი და პურმარილიანი ხალხია, მაგრამ მე კი ვშიშობ მათ ბედს, რადგან სწავლა განათლებას სუსტათ მისდევენ. მცხოვრებლების უმეტესობას ჯერ ისევ მარჩიელ, ექიმბაშები სწამს (ძალიან მოუხდებოდათ ერთი ფერშალი მაინც დაენიშნა მთავრობას ამ სოფლისთვის) ხალხის უვიცობით ბევრი სარგებლობს და ტყავს აძრობს მათ. ამას წინეთ მოევლინა სოფელს ვიღაცა მარჩიელი ქალბაქიანი, რომელიცატყუებდა და ატყავებდა ხალხს. ერთი ყოფილი ხანის სკოლის მასწავლებლის ცოლის მეთხებით და ზოგი მექარით მთავრობის მხრით, მოშორდა დროებით აქაურობას და გვიხაროდა, მაგრამ კიდევ გამოჩნდა და არ მიატოვა თავის მატყუარობა, და დის, ატყუებს და ყვლეფს ხალხს. დროა მთავრობამ ეს თვალის ახვით შოვნა—გამდიდრება.

ეზეკია რთინიშვილი.

## რუსეთი.

„რუს. ვედ." გადმოგვცემს, რომ მინისტრთა საბჭოს კანცელარია სიას ადგენს, იმისას თუ რაოდენი კანონია 87 მუხლით გაყვანილი. ამ სიიდან სჩანს, თურმე, რომ დღევანდლამდი ამ მუხლით 600 კანონია ძალაში მოსული.

— —

დიდი მითქმა-მოთქმაა თავრიდის სასახლეში: ამბობენ, მთავრობას განზრახვა აქვს კ. დ. პარტია ლეგარიულათ გამოაცხადოს.

— —

პოლონეთის კოლოს გადაუწყვეტია სახელმწიფო დუმის გახსნისთანავე ავსტრო გერმანიის აქტს გამოეხმაუროს. დეკლარაციის შედგენა და გამოქვეყნება გარუსევიჩს მიანდეს.

— —

„ბირჟ. ვედომ." სიტყვით ადესაში ნავთის დიდი ნაკლებობაა.

— —

„ბირჟ. ვედომ" სიტყვით ახალი სესხის გამოცხადების მეოთხე დღეს ხუთმილიონზე იყო უკვე ხელ მოწერილი ეს იმის მაჩვენებელია, ამბობს გაზეთი, რომ სესხის საქმე კარგად წავაო.

— —

უწმიდესს სინოდს ფინანსთა მინისტრის ბარკის წინადადება მოუსმენია. მინისტრი თხოვს რომ სინოდმა განკარგულება მოახდინოს და სამღვდელოებამ სესხის გასაღებაში მონაწილეობა მიიღოსო. სინოდი ფინანსთა მინისტრის თხოვნის შესრულების წინაღმდეგი არაა რადგან არავითარ დამრკოლებას არ ხედავს, რომ სამღვდელოებამაც ხელი შეუწყოს სესხის-განაღდებას.

— —

დერაუში გაზის ქარხანა აფეთქებულა და ბევრი სახლები დანგრეულა.

— —

ოქტომბრის 29 შტიურმერთან კაბინეთის საგანგებო მოლაპარაკება ჰქონია. სხდომა მხოლოდ საკანონმდებლო დაწესებულებათა გახსნას ეხებოდა.

— —

„რ. სლ." სიტყვით მიტროპოლიტ—პიტირიმის ავათმყოფობის გამო მას ურჩევენ უფრო თბილ ჰაერში იცხოვროს. მის კიევის კათედრაზე გადაყვანის შესახებ ლაპარაკობენ. ამბობენ პეტროგრადში კიევის მიტროპოლიტი ვლადიმირი დაინიშნებაო.

— —

მოსკოვის ბირჟის კომიტეტს ვაჭრობის მინისტრის შახოვსკისთვის მუშათა ორ განიზაციების შესახებ წერილობითი წინადადება მიურთმევია.

## უცხოეთი.

„რეჩის" სიტყვით დობრუჯაში რუმინია და ჩვენი ჯარის საქმე ამ ბოლო დღეებში გამოკეთდაო. მოკავშირეთა ჯარმა ტრანსილვანიის ფრონტზე მტრის პოზიციები გადალახეს და თავიანთ ჯარის მდგომარეობა გააუმჯობესეს. ეგრეთი წინსვლა გერმანიის გეგმის ჩაშლათ უნდა ჩაითვალოსო. თუ რომ ჩვენმა ჯარმა „ჩერნოვოდის" გადასასვლელიც ხელში ჩაიგდო, იმ შემთხვევაში გერმანელთა და ბოლგართა წინსვლა მნიშვნელობას სულ დაკარგავსო.

— —

ლონდონიდან გვატყობინებენ, რომ მუშათა პარტიის ლიდერი ჰენდერსონი შრომის მინისტრათ დაუნიშნავთ.

— —

ლონდონში ჰენრი ლემინგს ოქსფორდის უნივერსიტეტში 10,000 გირვანქა სტერლინგი შეუტანია. ეს ფული უნდა მოხმარდეს სტიპენდიებათ იმ სტუდენტებს, რომელნიც სპეციალურათ რუსულ ენას შეისწავლონ.

— —

საფრანგეთის ფინანსთა მინისტრს რიბოს დეპუტატთა პალატაში მოხსენება შეუტანია. მისი სიტყვით საფრანგეთის მეორე სესხის საქმე დაგვირგვინებულა. საფრანგეთის კაპიტალისტებს დიდთ პარტიათ თუ თავიანთი პატრიოტიული ვალი აღტაცებით შეუსრულებიათ.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. „სამშობლო"


### გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისათვის ხელმისაწვდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „სამშობლოს" რედ.

### ვამზადებ

მოწაფეებს ყველა კლასებისა[illegible] ხელსაყრელია. პირობები [illegible] ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ. ჭილაძის შესავალი გაზ „მეგობრის" რედაქციის ბინიდან.

დოქტორი მედიცინისა

### დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.

ლებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი.

10—4 დღ. გამ.



### რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 | წ. |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | —საღამოს | — 7 ს. 00 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | —დილის | —11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 | „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 8 ს. 13 | „ |
| შორაპნისაკენ | —დღით | — 5 ს. 18 | „ |

**НОВОЕ ПРИБЫЛЬНОЕ ДѢЛО**

ВНИМАНІЮ ЛИЦЪ,

**ищущихъ побочнаго заработка**

**ПОВСЮДУ НУЖНЫ**

**лица обоегопола**

для переписки адресовъ торговымъ фирмамъ по 3 р за 100 шт. РАБОТА ПОСТОЯННАЯ Обычныя занятія и разстояніе не препятствуютъ, т. к. это дѣло требуетъ въ день 1/2 часа времени, и даетъ до 100 р и болѣе въ мѣсяцъ побочнаго заработка. Условія высылаются по полученіи 20 коп. почтовими марками на отвѣтъ. Обращаться письм по адресу: Борисоглѣбскъ, Там. губ. Почтовая №77, А. И. Иванову.

5—

## სუსუნაგი.

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნაგის** წამლით პირველ ხარისხოვანი **„გონოზანით"** ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნაგს. საშუალება ნაცადია **თბილისის, რუსეთისა** და **საზღვარგარეთელ ექიმებისა** და **პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნაგის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია:** თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და უბარი საშუალებაა. ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და ორი შუშის შეზხაპუნებით, რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავათმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შესაზხაპუნებელი ღირს 9 მანეთი სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ თბილისი**, თხინვალის ქუჩა № 12, მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჟავოის ქუჩის.

Р Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3

## ავათმყოფნი სუსუნაგით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და სააქიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნაგისა, ტყლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნაგის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ **„ბლენიოზოლი"**, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნაგისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნაგისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „სააქიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფის 3 მან. და 50 კ. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის" ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი უერთგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)